განქორწინების რეგისტრაცია

**განქორწინების რეგისტრაცია შესაძლოა განხორციელდეს:**

1) მეუღლეების ერთობლივი განცხადებით ან

2) ერთ-ერთი მეუღლის განცხადებით, თუ:

- არსებობს სასამართლოს გადაწყვეტილება განქორწინების შესახებ;
- მეორე მეუღლე სასამართლოს მიერ აღიარებულია უგზო-უკვლოდ დაკარგულად;
- მეორე მეუღლე დანაშაულის ჩადენისთვის მსჯავრდებულია თავისუფლების აღკვეთის ვადით მინიმუმ 3 წლით.

საქართველოს საკონსულო სამსახურში დასაშვებია მხოლოდ საქართველოს მოქალაქეთა შორის განქორწინების რეგისტრაცია.

**მომსახურების საფასურია 100 აშშ დოლარი.**

მომსახურების მისაღებად აუცილებელია ორივე მხარეს გამოცხადდეს საკონსულოში.

**განქორწინების რეგისტრაციისთვის საჭიროა შემდეგი დოკუმენტების წარმოდგენა:**

- მეუღლეების პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები ან ასლები (პასპორტი ან პირადობის მოწმობა);
- ქორწინების მოწმობა;
- გენერალური საკონსულოს სახელზე გამოწერილი მანი ორდერი (Money Order) 100 აშშ დოლარის ოდენობით

<u>განქორწინების რეგისტაცია ხორციელდება 5 სამუშაო დღეში</u>